

შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოების ზოგიერთი ასპექტი

ავტორები: ნიკოლოზ რთველიაშვილი

როლანდ ბერიძე

30 სექტემბერი, 2021წ.

1991 წელს საბჭოთა კავშირისა და ვარშავის პაქტის დაშლის შემდეგ, შავიზღვისპირეთის ქვეყნებმა, საქართველოსა და უკრაინის ჩათვლით, შეიძინეს ახალი გეოპოლიტიკური როლი, რომელმაც ახალი გამოწვევები და შესაძლებლობები მოუტანა ამ ქვეყნებს. რეგიონსა და მსოფლიოში ბოლო ხანს განვითარებულმა მოვლენებმა მნიშვნელოვნად გაზარდა შავი ზღვის რეგიონის როლი მსოფლიო უსაფრთხოების სისტემაში.

ანალიტიკური ბარათის მიზანია მოკლედ მიმოვიხილოთ შავი ზღვის რეგიონში ძალთა ბალანსისა და უსაფრთხოების გარემოს განვითარება ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში.

„ცივი ომის“ ხანის შემდგომი ცვლილებები

„ცივი ომის“ ხანაში შავი ზღვა „გაყოფილი“ იყო ორად. ერთი მხრივ, ეს იყო ნატოს წევრი სახელმწიფო თურქეთი, ხოლო მეორე მხრივ, საბჭოთა კავშირი და მისი მოკავშირე ვარშავის პაქტის ქვეყნები - ბულგარეთი და რუმინეთი. ანუ, შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ეფუძნებოდა ძალთა ბალანსს ნატოსა და ვარშავის პაქტის წევრ ქვეყნებს შორის, სადაც საბჭოთა კავშირი უფრო მყარად იყო წარმოდგენილი ვიდრე ნატოს წევრი თურქეთი. ანუ, იგი აკონტროლებდა შავიზღვისპირეთის აღმოსავლეთ, ჩრდილოეთ და დასავლეთ სანაპიროებს, ხოლო ნატო თურქეთის საშუალებით, მის სამხრეთ ნაწილს.

ნატოსა და ევროკავშირის გაფართოების რამდენიმე ეტაპის შემდეგ, ძალთა ბალანსი შავი ზღვის რეგიონში მნიშვნელოვნად შეიცვალა. თურქეთთან ერთად შავი ზღვის სანაპიროზე გამოჩნდა კიდევ ორი ნატოს წევრი ქვეყანა, ვაშინგტონის ხელშეკრულების მე-5 მუხლის გარანტიებით, რომლებიც ასევე არიან ევროკავშირის წევრები - ბულგარეთი და რუმინეთი.

ევროკავშირთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ მას გააჩნია მძლავრი და მრავალფეროვანი ეკონომიკური შესაძლებლობები/ბერკეტები, რომლებიც უზრუნველყოფენ აღნიშნული ქვეყნების დინამიურ, მდგრად განვითარებას. შესაბამისად, ნატო და ევროკავშირი განსაკუთრებულად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ შავი ზღვის უსაფრთხოების გარემოს ჩამოყალიბებაში და ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფაში.

შავიზღვისპირეთის ქვეყნებიდან მხოლოდ საქართველო და უკრაინაა დარჩენილი მყარი უსაფრთხოებისა და ეკონომიკური გარანტიების გარეშე (რუსეთის გარდა - რუსეთს ამ მხრივ საკუთარი მძლავრი შესაძლებლობები გააჩნია), რომლებზედაც რუსეთის გავლენა აღარ ვრცელდება. შესაბამისად, რუსეთის განკარგულებაში დარჩა მხოლოდ შავიზღვისპირეთის მცირე, ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპირო.

რუსეთის დესტრუქციული ქმედებები

„ცივი ომის“ დასრულებისა და საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რუსეთის გავლენა შავი ზღვის რეგიონზე მნიშვნელოვნად შესუსტდა, რაც რუსეთის მმართველი პოლოტიკური ელიტის მიერ ძალზე მწვავედ იქნა აღქმული (შეილახა იმპერიული თავმოყვარეობა), მიუხედავად იმისა, რომ ნატოს გაფართოება და ევროკავშირის გავლენის ზრდა რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობასა თუ ეკონომიკურ კეთილდღეობას არავითარ საფრთხეს არ უქმნიდა.

პირიქით, რუსეთის სამხრეთ-დასავლეთ სამეზობლოში ნატო უზრუნველყოფს უსაფრთხო გარემოს შექმნას, კონფლიქტების აღმოფხვრას, ხოლო ევროკავშირი ეკონომიკურ განვითარებას, ცხოვრების დონის ამაღლებას და სტაბილური, ურთიერთხელსაყრელი და თანასწორი პარტნიორობის ჩამოყალიბებას, რაც უდავოდ რუსეთის ინტერესებში უნდა შედიოდეს, მაგრამ ამ შემთხვევაში რუსეთის მორჩილებაში ეს სახელმწიფოები ვეღარ დარჩებოდნენ.

შესაბამისად, რუსეთი დაუყოვნებლივ შეუდგა შესუსტებული გავლენების აღდგენას რეგიონში, რაც გამოიხატა 90-იან წლებში კონფლიქტების პროვოცირებით საქართველოში, მოლდოვასა და აზერბაიჯანში. მოგვიანებით კი 2008 და შემდეგ 2014 წწ. მან პირდაპირი იერიში მიიტანა საქართველოსა და უკრაინაზე.

რუსეთის აგრესიულმა ქმედებებმა მნიშვნელოვნად გააუარესა უსაფრთხოების გარემო შავი ზღვის რეგიონში. აფხაზეთის ოკუპაციის, ყირიმის ანექსიისა და აღმოსავლეთ უკრაინის რეგიონების დაკავების მთავარ მიზანს წარმოადგენს რუსეთის სამხედრო ძალის გაძლიერება აღნიშნულ ტერიტორიებზე და მისი გავლენის სფეროების გაფართოება არა მარტო შავ ზღვაზე, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთში, რაც სირიაში განვითარებულმა მოვლენებმა დაადასტურა. ყირიმი, დნესტრისპირეთი, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი რუსეთმა უახლესი სამხედრო ტექნიკით აღჭურვილ უზარმაზარ სამხედრო ბაზებად გადააქცია, გააფართოვა კონტროლი შავიზღვისპირეთის სანაპირო ზოლზე, რითაც თავის სასარგებლოდ შეცვალა ძალთა ბალანსი შავი ზღვის რეგიონში.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ რუსეთი ახორციელებს მუდმივ ჰიბრიდულ ომს შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან პოლიტიკური ზეწოლით, ეკონომიკური და ენერგეტიკული საბოტაჟით, კიბერშეტევებით, მასიური დეზინფორმაციის კამპანიითა, ხოლო რიგ შემთხვევებში სამხედრო აგრესიასაც არ ერიდება.

რუსეთის მიზანს წარმოადგენს ნატოსა და ევროკავშირის გავლენის მაქსიმალური შეზღუდვა და კონტროლის დამყარება განსკუთრებით იმ ქვეყნებზე, რომლებსაც ჯერ კიდევ არ გააჩნიათ უსაფრთხოების მყარი გარანტიები.

შედეგად, რეგიონში მივიღეთ ოკუპირებული უკონტროლო ტერიტორიები, რომლებიც არ ექვემდებარებიან არანაირ საერთაშორისო მონიტორინგის მექანიზმებს (მაგ. აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, აღმოსავლეთ უკრაინის მიტაცებული ოლქები, ანექსირებული ყირიმი), რაც ხელს უწყობს არალეგალური საქმიანობის განვითარებას, როგორცაა იარაღით და მასობრივი განადგურების იარაღის წარმოებისთვის საჭირო ნივთიერებებით ვაჭრობა, ნარკოტიკები და სხვა.

ნატოსა და ევროკავშირის ინტერესები

შავი ზღვის რეგიონი აღმოსავლეთ-დასავლეთ და ჩრდილო-სამხრეთ დამაკავშირებელ გზაჯვარედინზე მდებარეობს. შესაბამისად, ევროპისთვის რეგიონი დიდ მნიშვნელობას იძენს განსაკუთრებით „აღმოსავლეთ-დასავლეთ სატრანსპორტო დერეფნის“ კონტექსტში, რაც პირდაპირ კავშირშია დასავლური სამყაროს ენერჯო უსაფრთხოებასა და ეკონომიკურ კეთილდღეობასთან.

შესაბამისად, ნატო, როგორც ევროატლანტიკური არეალის უსაფრთხოების მთავარი გარანტორი და ევროკავშირი, როგორც ეკონომიკური კეთილდღეობის უზრუნველყოფელი ცდილობენ გააძლიერონ თავისი გავლენა შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებზე, რათა ისინი გახადონ სტაბილურები და ეკონომიკურად განვითარებული სახელმწიფოები.

აღნიშნულის მაგალითებს წარმოადგენენ ნატოს მიერ საქართველოსა და უკრაინის აღიარება ასპირანტ ქვეყნებად, რომლებიც 2008 წლის ბუქარესტის სამიტის კარგად ცნობილი გადაწყვეტილებით გახდებიან ალიანსის წევრები. უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ძალზე გააქტიურდა ნატოს წევრი სახელმწიფოების სამხედრო ხომალდების ვიზიტები შავი ზღვისპირეთის ქვეყნების პორტებში, ხოლო ევროკავშირის მიერ აღმოსავლეთ ევროპის სამეზობლო პოლიტიკის გატარება აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის შექმნის საშუალებით (ამ უკანასკნელში გაწევრიანდნენ აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, საქართველო, სომხეთი და უკრაინა, ხოლო ინაუგურაცია მოხდა პრადში 2009წ.) ხელს უწყობს ამ ქვეყნების დემოკრატიულ განვითარებასა და ცხოვრების დონის დაახლოებას დასავლურ სამყაროსთან.

რუსეთის ფაქტორის გათვალისწინებით ნატო და ევროკავშირი საკმაოდ ფრთხილ, თუმცა თანმიმდევრულ პოლიტიკას ატარებს შავი ზღვის რეგიონის ნატოსა და ევროკავშირის არაწევრი ქვეყნების მიმართ ამ ორგანიზაციებთან მაქსიმალური დაახლოების მიზნით. მკვეთრი ნაბიჯების გადადგმა მათი მხრიდან, როგორც ჩანს, არ არის მოსალოდნელი. კარგად გვახსოვს თუ რა განვითარებები მოჰყვა ბუქარესტის სამიტს საქართველოსთან მიმართებაში და ევროკავშირთან უკრაინის მიერ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ხელმოწერის მცდელობას 2014 წელს.

საფიქრებელია, რომ საერთაშორისო ვითარების გათვალისწინებით, ნატოსა და ევროკავშირის ფრთხილი და თანმიმდევრული პოლიტიკის არსს წარმოადგენს, გამოიყენონ ე.წ. „შესაძლებლობების ფანჯარა“ გადაწყვეტი ნაბიჯების გადასადგმელად, ხოლო შედეგად არ მივიღოთ შავი ზღვის რეგიონში უსაფრთხოების გარემოს მკვეთრი გაუარესება.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიღების უსაზღვროდ გაწევა ხელს უწყობს მოწინააღმდეგე მხარის (ამ შემთხვევაში რუსეთის) გავლენის ზრდას რეგიონში და მისი პოზიციების გამყარებას. ასევე, ნეგატიურად მოქმედებს ნატოსა და ევროკავშირის იმიჯზე უკრაინასა და საქართველოში, ხოლო ევროკავშირის შემთხვევაში თურქეთშიც შეინიშნება იმედგაცრუება.

სრუტეები

1936 წლის მონტროს კონვენცია წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ კომპონენტს შავი ზღვის უსაფრთხოების არქიტექტურაში. კონვენციის 8 დან 22-მდე მუხლი ეხება სამხედრო ხომალდების მოძრაობას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების გავლით.

კონვენცია სრუტეების გავლის უფლებას აძლევს შავი ზღვისპირეთის ყველა ქვეყნის ნებისმიერი კლასის სამხედრო ხომალდებს, მაგრამ არაშავი ზღვისპირეთის ქვეყნების სამხედრო გემები შეზღუდული არიან, როგორც ტონაჟის (არაუმეტეს 15,000 ტონა) ისე კლასისა და რაც მთავარია, შავ

ზღვაში ყოფნის (21 დღე) მხრივ. ასევე, არაშავიზღვისპირეთის ქვეყნების სამხედრო გემების კრებითი ტონაჟი არ უნდა აღემატებოდეს 30,000 ტონას. განსაკუთრებულ შემთხვევებში ტონაჟი შეიძლება გაიზარდოს 45,000 -მდე. დღეს, შავ ზღვაში რეგულარულად პატრულირებენ ნატოს „კორვეტის“ ან „ფრეგატის“ კლასის ხომალდები, რომლებსაც, როტაციის წესით, სამ კვირაში ენაცვლება გემების მორიგი ჯგუფი, მონტროს კონვენციით არსებული დროით შეზღუდვის გამო.

უნდა აღინიშნოს, რომ მონტროს კონვენციის არსებობამ პირდაპირი სარგებელი მოუტანა საბჭოთა კავშირს, განსაკუთრებით „ცივი ომის“ პერიოდში, როდესაც ის სრულად დომინირებდა შავ ზღვაზე, რადგან რუმინეთი და ბულგარეთი ვარშავის ბლოკის წევრი ქვეყნები და მისი მოკავშირეები იყვნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საბჭოთა კავშირის დაშლის და საქართველოსა და უკრაინის დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, რუსეთმა დაკარგა როგორც ზღვისპირა ზოლის მნიშვნელოვანი ნაწილი, ასევე ირიბი კონტროლი რუმინეთსა და ბულგარეთის საზღვაო ძალებზე, რომლებიც ნატოს ალიანსს შეუერთდნენ. მონტროს კონვენცია, რომელიც ზღუდავს ნატოსა და აშშ-ს სამხედრო სანაოსნო ძალების გაზრდას შავი ზღვის აკვატორიაში ხელს უწყობს რუსეთს სამხედრო უპირატესობის შენარჩუნებას. რუსეთი აქტიურად ეწინააღმდეგება ნატოს გაფართოებას აღმოსავლეთისკენ და შავ ზღვაში ძალთა ბალანსის შესაძლო შეცვლას. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებას 2008 წ. და უკრაინის აღმოსავლეთში ჰიბრიდულ აგრესიას, ყირიმის უკანონო ანექსიის ჩათვლით 2014 წელს.

ყირიმის უკანონო ანექსიის შემდეგ რუსეთი დადგა მნიშვნელოვანი ლოგისტიკური პრობლემის წინაშე. საზღვაო კავშირის გარდა რუსეთს არ ჰქონდა სახმელეთო წვდომა ყირიმზე. 2015 წელს რუსეთმა დაიწყო ქერჩის სრუტეში ყირიმთან დამაკავშირებელი ხიდის მშენებლობა, რომელიც შეიცავს საავტომობილო და სარკინიგზო ნაწილებს. ხიდის მშენებლობა დამთავრდა 2019 წელს. შედეგად, რუსეთმა მიაღწია მიზანს ყირიმის მომარაგების თვალსაზრისით და ასევე პრაქტიკულად ჩაკეტა აზოვის ზღვა თავისუფალი ნაოსნობისგან. უკრაინას აქვს ორი მნიშვნელოვანი პორტი აზოვის ზღვაში, საიდანაც უკრაინა ახორციელებს ფოლადის და აგროპროდუქციის ექსპორტს. 2018 წლის ივლისში რუსეთმა დაიწყო უკრაინული სატვირთო გემების შემოწმება, რაც მნიშვნელოვნად ხელს უშლის თავისუფალ ტრანზიტს. ასევე, ხიდის მთავარი თალი მხოლოდ 35 მეტრია, რაც არასაკმარისია Panamax-ის ტიპის გემებისთვის გასავლელად.

ამავდროულად, საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევით, რუსეთი აცხადებს სუვერენიტეტს ყირიმსა და ყირიმის გარშემო ტერიტორიალურ წყლებზე და შესაბამისად ატარებს აგრესიულ ქმედებებს როგორც უკრაინულ, ასევე სხვა ქვეყნების ხომალდების წინააღმდეგ. ყირიმის რუსმა მესაზღვრეებმა 2018 წლის 25 ნოემბერს ქერჩის სრუტეში ცეცხლი გაუხსნეს და დააკავეს სამი უკრაინული სამხედრო ხომალდი. რუსეთის უსაფრთხოების ფედერალური სამსახურის განცხადებით, ხომალდებმა უკანონოდ გადაკვეთეს რუსეთის საზღვარი.

მიმდინარე წლის ივნისში ბრიტანეთის სამხედრო ხომალდმა „დიფენდერმა“ გადაკვეთა ყირიმის მიმდებარე 12-მილიანი ზონა. ამან გამოიწვია რუსეთის მწვავე რეაქცია, როდესაც მესაზღვრეებმა გამაფრთხილებელი გასროლები მოახდინეს ბრიტანული გემის კურსის გასწვრივ და ასევე გამოიყენეს ავიაცია. ანალიტიკოსების აზრით, ეს ინციდენტი მანიშნებელია, თუ რამდენად არის მზად რუსეთი გაამწვავოს სამხედრო სანაოსნო დაპირისპირება დასავლეთთან ყირიმის ანექსიის აღიარების მიზნით (<https://www.foreignaffairs.com/articles/turkey/2021-08-16/russias-battle-black-sea>).

თურქეთის როლი

კონვენციის შესრულებაზე და სრუტეებში ნაოსნობის რეგულირება მთლიანად ეკისრება თურქეთს, რომელიც უკვე 85 წელია მიუკერძოებელი მოთამაშის როლს ასრულებს. თურქეთის როლის დაკნინება სცადა საბჭოთა კავშირმა უშუალოდ მეორე მსოფლიო ომის დასრულებისას, როდესაც პირდაპირი მუქარით მოსთხოვეს თურქეთს კონვენციის გადახედვა და სრუტეებზე ერთობლივი კონტროლის დაწესება. თურქეთი არ დანებდა და საბოლოოდ აღნიშნული კრიზისის შედეგად თურქეთი, საბერძნეთთან ერთად 1952 წელს ნატოს წევრები გახდნენ. თუმცა, აქ უნდა აღინიშნოს, რომ თურქეთი პირნათლად აგრძელებს კონვენციით მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას, რაც გამოიხატება იმაში, რომ უამრავ შემთხვევაში ის უარს აცხადებს სრუტეებში ნატოს სამხედრო ხომალდების ტრანზიტზე.

ბოლო წლების მანძილზე, აშშ ზეწოლას ახორციელებდა ანკარაზე, რომ უფრო ლიბერალური მიდგომა ჰქონოდა მის ვალდებულებისადმი მონტროს კონვენციის შესრულებისას იმისთვის, რომ ნატოს მეტი საზღვაო ძალები შეეყვანა შავი ზღვის აკვატორიაში, რაზეც თურქეთი აქამდე მკაფიოდ ამბობდა უარს. თუმცა, რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომის დროს აშშ-ის მე-6 ფლოტის ფლაგმანი „მაუნთ ვიტნი“ (Mount Whitney), რომლის ტონაჟიც მნიშვნელოვნად აღემატება მონტროს კონვენციით გათვალისწინებულ ზღვარს (18400 ტ.), თურქეთის წინააღმდეგობის მიუხედავად, მაინც შემოვიდა შავ ზღვაში და ბათუმის პორტში ჩაუშვა ღუზა.

საკითხი დგას რამდენად პრაგმატულ პოლიტიკას გაატარებს თურქეთი იმ შემთხვევაში, თუ უსაფრთხოების სიტუაცია მკვეთრად გაუარესდება რუსეთ-უკრაინის ან სხვა შავი ზღვისპირა ქვეყნებთან კონფლიქტის ფონზე. ნატოსა, მათ შორის აშშ-ს და რუსეთის დაპირისპირების შემთხვევაში, რა როლს აირჩევს თურქეთი? მიანიჭებს ის უპირატესობას საერთაშორისო ხელშეკრულებით აღებულ ვალდებულებებს და შეეცდება გააკონტროლოს მონტროს კონვენციის მეშვეობით სამხედრო ვითარება, თუ აირჩევს ნატოს წევრობიდან გამომდინარე მოკავშირე ვალდებულებების შესრულებას? აქ მრავალი ფაქტორი იქნება გასათვალისწინებელი და არა ნაკლებად რუსეთ-თურქეთს შორის ამ ბოლო დროს გაუმჯობესებული ურთიერთობები და არსებული მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ ენერჯო კავშირები. თუმცა, უკრაინის კონფლიქტთან მიმართებაში, თურქეთი უკანონოდ ცნობს ყირიმის ანექსიას და აღიარებს უკრაინის ტერიტორიულ სუვერენიტეტს.

მიმდინარე წლის აპრილში თურქეთის პრეზიდენტმა ერდოღანმა განაცხადა „სტამბოლის არხის“ მშენებლობის დაწყების შესახებ, რომელიც შავ ზღვასა და მარმარილოს ზღვას შორის იქნება გაყვანილი და გვერდს აუვლის ბოსფორის სრუტეს. ამავდროულად, ამ დამაკავშირებელ არხზე ლეგალურად არ გავრცელდება მონტროს კონვენციის პირობები, რაც თეორიულად მისცემს შესაძლებლობას ნატოს სამხედრო სანაოსნო ძალებს შეუზღუდავად შევიდნენ და იმოქმედონ შავ ზღვაში უკვე თურქეთთან ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე.

ბუნებრივია, რუსეთის რეაქცია ამ პროექტზე იყო მკვეთრად უარყოფითი, თუმცა გარკვეული არაერთგვაროვანი რეაქცია ასევე მოჰყვა ამ გადაწყვეტილებას თვით თურქეთშიც. 104- მა ყოფილმა სამხედრო მაღალჩინოსანმა ღია წერილით მიმართეს თურქეთის პრეზიდენტს მოწოდებით არ დაუშვას მონტროს კონვენციის გვერდის ავლა, რომელიც მრავალი ათეული წლის განმავლობაში შავი ზღვის უსაფრთხოების მნიშვნელოვანი კომპონენტი იყო. დასაშვებია, რომ „სტამბოლის არხმა“ შეიძლება შექმნას ახალი რეალობა, რომელსაც დასჭირდება ახალი კონვენციის მიღება და რაც ინტენსიურ მრავალმხრივ დიპლომატიურ ძალისხმევას მოითხოვს.

შეჯამება

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება ბოლო რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუარესდა, თუნდაც „ცივი ომის“ ხანასთან შედარებით. ბუნებრივია, აღნიშნულმა გარემოებამ გამოიწვია NATO-სა და პირადად აშშ-ის გააქტიურება რეგიონში, მაგრამ საკმაოდ ფრთხილი მიდგომით, რაც ვფიქრობთ არასაკმარისია რუსეთის აგრესიული ქმედებების ფონზე, როდესაც ეს უკანასკნელი არ ერიდება მკვეთრი ნაბიჯების გადადგმას სამხედრო ოპერაციების ჩათვლით.

შესაბამისად, თუ შავი ზღვის რეგიონის სტაბილურობა, რომელიც ნატოს არაერთი სამიტის კომუნიკეშია ხაზგასმული, მნიშვნელოვანია დასავლური სამყაროსთვის, ალიანსის გაფართოების საკითხი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით (იგულისხმება საქართველო და უკრაინა) სწრაფად და გაჭიანურების გარეშე უნდა გადაწყდეს. დაყოვნება და თანდათანობითი მიდგომები მხოლოდ აუარესებს უსაფრთხოების გარემოს შავიზღვისპირეთში და საშუალებას აძლევს მოწინააღმდეგე მხარეს, ამ შემთხვევაში რუსეთს, სწრაფი და დესტრუქციული ქმედებებით თავის სასარგებლოდ შეცვალოს სიტუაცია და შეუძლებელი გახადოს რეგიონის სტაბილიზაცია. მით უმეტეს, რომ ალიანსში საქართველოსა და უკრაინის შერწყმას მხარს უჭერენ რეგიონსა და მის მიმდებარე ტერიტორიებზე განლაგებული ნატოსა და ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობა.

რაც შეეხება მონტროს კონვენციის გვერდის ავლას „სტამბოლის არხის“ საშუალებით და მის გარშემო ატეხილ კრიტიკას, როგორც რუსეთისა და სხვა ქვეყნების მიერ, თურქეთის ჩათვლით ვფიქრობთ, რომ ნაადრევია დასკვნების გამოტანა. მით უმეტეს, რომ მონტროს კონვენცია არა მხოლოდ ბოსფორის, არამედ დარდანელის სრუტესაც ფარავს, რომელიც მარმარილოს ზღვას აკავშირებს ხმელთაშუაზღვის აუზთან. დარდანელის სრუტის გავლის გარეშე ვერცერთი სამხედრო ხომალდი ვერ შევა შავ ზღვაში.